საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

2025/2026

27.02.2026
www.geostat.ge

27.02.2026

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები
(2025/2026 სასწავლო წელი)

2025/2026 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში 64 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, აქედან 19 სახელმწიფო და 45 კერძო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 64.1 პროცენტი ქალაქ თბილისშია.

2025/2026 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მიიღეს 58.6 ათასი სტუდენტი, აქედან სახელმწიფო უნივერსიტეტებში 31.5 ათასი, ხოლო კერძო უნივერსიტეტებში - 27.0 ათასი. სტუდენტთა მიღება, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 8.0 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული სტუდენტების რიცხოვნობა, 2021/2022-2025/2026 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №1

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული სტუდენტების რიცხოვნობა
(ათასი)



27.02.2026

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობამ 195.4 ათასი შეადგინა, რაც წინა სასწავლო წელთან შედარებით 4.1 პროცენტით მეტია. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს სტუდენტების 55.3 პროცენტი, ხოლო კერძოში - 44.7 პროცენტი. სტუდენტთა საერთო რიცხოვნობიდან 52.1 პროცენტი ქალია, ხოლო 47.9 პროცენტი - კაცი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სტუდენტების რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2021/2022-2025/2026 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №2

სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

(ათასი)



27.02.2026

2025 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაამთავრა 32.5 ათასმა სტუდენტმა, რაც წინა წელთან შედარებით 9.9 პროცენტით მეტია. კურსდამთავრებულებიდან 58.8 პროცენტი ქალია, ხოლო 41.2 პროცენტი - კაცი. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 12.7 პროცენტით აღემატება კერძო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების რიცხოვნობას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა, 2021/2022-2025/2026 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №3

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა

(ათასი)



27.02.2026

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობამ 44.4 ათასი შეადგინა, რაც 19.7 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულია 12.2 ათასი პროფესორ-მასწავლებელი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 6.2 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2025/2026 სასწავლო წელს.

დიაგრამა №4

პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
(2025-2026 სასწავლო წელი, კაცი)



27.02.2026

2025 წელს, უნივერსიტეტებში მიიღეს 720 დოქტორანტი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლეთან შედარებით 2.9 პროცენტით მეტია. დოქტორანტების რიცხოვნობა 0.1 პროცენტით გაიზარდა და 3 025 შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით, 2025 წელს.

ცხრილი №1

დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით

(2025 წელი)

	რიცხოვნობა (კაცი)	%
დოქტორანტები, სულ	**3 025**	**100.0**
მათ შორის:		
განათლება	70	2.3
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	430	14.2
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	1 356	44.8
მეცნიერება	384	12.7
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	205	6.8
სოფლის მეურნეობა	53	1.8
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	480	15.9
მომსახურება	47	1.6

წინა წელთან შედარებით, კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 16.0 პროცენტით შემცირდა და 368 პირი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა განაწილება პროგრამების მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №5

კურსდამთავრებულთა განაწილება პროგრამების მიხედვით, 2025 წელს



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge